

1: ნივთიერების იდენტიფიკაცია		
პროდუქტის დასახელება:	კოკოლი	
პროდუქტის დანიშნულება:	ქიმიური სასუქი	
მწარმოებელი/მომწოდებელი:	„შენდონგ კოკოლი ფერტილაიზერ კო, „ შპს SHANDONG COCOLY FERTILIZER CO., LTD. The West of Zhongxue Road, Yingli Town, Shouguang City, შენდონგის პროვინცია, ჩინეთი ტელ. & გადაუდებელი დახმარების ტელ.: +86-536-5100911 ფაქსი: +86-536-5100911	
2. შემადგენლობა		
კომპონენტი	CAS#	% შემცველობა
ამონიუმის სულფატი	7783-20-2	80%
მონოამონიუმის ფოსფატი	7722-76-1	5%
კალიუმის სულფატი	7778-80-5	10%
წყალი	7732-18-5	5%
3: საფრთხეების იდენტიფიკაცია		
საფრთხის აღწერა	არ წარმოადგენს საშიშ ნივთიერებას ან ნარევს (EC) No.1272/2008 რეგულაციის შესაბამისად. ეს ნივთიერება არ კლასიფიცირდება, როგორც საშიში 67/548/EEC დირექტივის შესაბამისად. ეს პროდუქტი ზომიერად აღიზიანებს თვალებს და მსუბუქად აღიზიანებს კანს.	
4: პირველადი დახმარების ზომები		
ჩასუნთქვისას:	ჩასუნთქვის შემთხვევაში, გაიყვანეთ ადამიანი სუფთა ჰაერზე. თუ არ სუნთქავს, ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა. მიმართეთ ექიმს.	
კანზე მოხვედრისას:	ჩამოიბანეთ საპნითა და დიდი რაოდენობით წყლით. მიმართეთ ექიმს.	
თვალში მოხვედრისას:	სიფრთხილის მიზნით, გამოირეცხეთ თვალები წყლით.	
	უგონოდ მყოფ ადამიანს არასდროს არაფერი ჩაუდოთ პირში. გამოივლეთ პირი წყლით. მიმართეთ ექიმს.	
5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები		
აალების ტემპერატურა: თვითაალება:	არ არის ხელმისაწვდომი არ არის ხელმისაწვდომი	
ხანძრის ჩაქრობის საშუალებები:	გამოიყენეთ წყლის ნისლი, ქაფი, CO <sub>2</sub> ან მშრალი ქიმიური ხანძრის ჩაქრობის საშუალებები.	
ხანძრის ჩაქრობის პროცედურები:	მეხანძრე-მაშველები ეკიპირებული უნდა იყვნენ სასუნთქი გზებისა და სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	
უჩვეულო საფრთხეები:	ცეცხლის ზემოქმედებით პროდუქტიდან შეიძლება გამოიყოს ციანწყალბადმჟავა და ამიაკი. მეხანძრე-მაშველმა უნდა ატაროს ჰაერის მიმწოდებელი ან	

	ავტონომიური სასუნთქი აპარატი.
<b>6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/დაფანტვის დროს</b>	
ზოგადი:	დაღვრილი პროდუქტი უნდა შეგროვდეს და მოთავსდეს სათანადო ჭურჭელში, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ობიექტზე უტილიზაციისათვის. გაწმენდის სამუშაოების დროს გამოიყენეთ შესაბამისი სასუნთქი გზების დამცავი საშუალებები და დამცავი სპეცტანსაცმელი და უზრუნველყავით სათანადო განიავება.
ნარჩენების განთავსება /უტილიზაცია:	ნარჩენების ინსენერაცია ან დამარხვა უნდა მოხდეს ნებადართულ ობიექტზე. არ ჩაღვართ წყალსადინარებში ან კანალიზაციის სისტემებში შესაბამისი ნებართვის გარეშე.
ტარის/კონტეინერის განადგურება:	განადგურეთ ნებადართულ ობიექტზე. უნებართვო ხელახალი გამოყენების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია დანაწევრება, დამტვრევა და სხვა მეთოდები.
<b>7. გამოყენება და შენახვის პირობები</b>	
უსაფრთხო გამოყენების რჩევები	თავიდან აიცილეთ მტვრისა და აეროზოლების წარმოქმნა. უზრუნველყავით შესაბამისი გამწოვი ვენტილაცია მტვრის წარმოქმნის ადგილებში.
შენახვა:	შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე.
<b>8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება</b>	
ტანსაცმელი:	პროდუქტთან შეხების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ხელთათმანები, კომბინიზონი, წინსაფარი და ჩექმები.
თვალები:	ქიმიური დამცავი სათვალე.
რესპირაცია:	საჭიროების შემთხვევაში NIOSH/MSHA-ს მიერ დამტკიცებული მტვრისგან დამცავი რესპირატორი.
ვენტილაცია:	რეკომენდებული დასაშვები კონცენტრაციის დონის (PEL) კონტროლისათვის გამოიყენეთ ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია.
ფეთქებადმდეგობა:	არ არის საჭირო.
ინდივიდუალური დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია	ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს თვალის ამოსარეცხი საშუალებები და უსაფრთხოების საშუალება.
<b>9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები</b>	
ძირითადი თვისებები	
ფორმა:	გრანულები
ფერი:	ყავისფერი
სუნი:	მჟავე სუნი
დუღილის ტემპერატურა:	არ გამოიყენება
ლღობის ტემპერატურა:	არ გამოიყენება
ორთქლის წნევა:	არ გამოიყენება
ოთქლის სიმკვრივე:	არ გამოიყენება

წყალში ხსნადობა:	100%
კუთრი სიმკვრივე (H <sub>2</sub> O=1):	არ გამოიყენება
PH:	არ გამოიყენება
გაყონვის ტემპერატურა:	არ გამოიყენება
მოლეკულური მასა:	ნარევი, არ გამოიყენება
<b>10. მდგრადობა და რეაქტიულობა</b>	
ქიმიური მდგრადობა:	მდგრადი
შეუთავსებლობა:	ძლიერი დამჟანგველები, ფუძეები, ქლორატები, ნიტრატები
ასარიდებელი საფრთხეები/გარემოებები :	282°C-ზე მეტი ტემპერატურა გამოიწვევს დაშლას ამიაკის და გოგირდის ტრიოქსიდის გამოყოფით.
საშიში დაშლის პროდუქტები:	ამიაკი გოგირდის ტრიოქსიდი
კოროზიული თვისებები:	არ არის კოროზიული
ჟანგვითი თვისებები:	არ არის დამჟანგავი
რეაქტიულობის სხვა მონაცემები:	არ არის ცნობილი
<b>11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია</b>	
კანის კოროზია/გაღიზიანება:	კანის გამაღიზიანებელი. კანზე ხანგრძლივმა ან განმეორებითმა შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს დერმატიტი.
თვალის დაზიანება/გაღიზიანება:	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას და დაზიანებებს
სენსიბილიზაცია (ალერგიული რეაქციები):	უცნობი საფრთხე
კანცეროგენული მოქმედება (კიბოს განვითარების რისკი):	ცნობილი კომპონენტები არ არის IARC-ის, ACGIH-ის, CA Prop 65-ის ან NTP-ის სიებში.
მუტაგენური მოქმედება (მემკვიდრეობითი გენეტიკური ეფექტების რისკი):	არ არის ცნობილი
<b>12. ეკოლოგიური ინფორმაცია</b>	
ზოგადი შენიშვნები:	არ დაუშვან პროდუქტის გარემოში გამოთავისუფლება (მოხვედრა) შესაბამისი სამთავრობო უწყების ნებართვის გარეშე.
<b>13. ნარჩენების მართვა /უტილიზაცია</b>	
პროდუქტი – რეკომენდაცია:	სათანადო უტილიზაციის უზრუნველსაყოფად, გაეცანით სახელმწიფო, ადგილობრივ ან ეროვნულ რეგულაციებს.
გაუწმენდავი ტარა - რეკომენდაცია:	უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად.
<b>14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია</b>	
გაეროს ნომერი	
ADR/RID: არცერთი	IMDG: არცერთი
	IATA: არცერთი
გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი:	
ADR/RID: არ არის საშიში ტვირთი	

IMDG: არ არის საშიში ტვირთი	
IATA: არ არის საშიში ტვირთი	
საშიშროების კლასი(ები) ტრანსპორტირებისას	
ADR/RID: არცერთი	IMDG: არცერთი IATA: არცერთი
შეფუთვის ჯგუფი	
ADR/RID: არცერთი	IMDG: არცერთი ATA: არცერთი
ეკოლოგიური საფრთხეები	
ADR/RID: არა	IMDG ზღვის დამაზინებლები: არა IATA: არა
<b>15. რეგულაციები</b>	
ინფორმაცია პროდუქტთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ:	ქიმიურ ნივთიერებასთან მუშაობისას დაიცავით უსაფრთხოების ზოგადი წესები.
ეროვნული რეგულაციები:	ამ პროდუქტის ყველა კომპონენტი მითითებულია ევროკავშირის გარემოს დაცვის სააგენტოს ტოქსიკური ნივთიერებების კონტროლის აქტის ქიმიური ნივთიერებების რეესტრში.
ინფორმაცია გამოყენების შეზღუდვის შესახებ:	განკუთვნილია მხოლოდ ტექნიკურად კვალიფიციური პირების მიერ გამოსაყენებლად.
მარეგულირებელი ინფორმაცია:	ეს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი შეესაბამება (EU) რეგულაციის 2001/58 დირექტივის მოთხოვნებს.
<b>16. დამატებითი ინფორმაცია</b>	
<p>აღნიშნული ინფორმაცია ყრდნობა ჩვენს ამჟამინდელ ცოდნას. თუმცა, ის არ წარმოადგენს პროდუქტის რომელიმე კონკრეტული მახასიათებლის გარანტიას და იურიდიული ძალის მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების საფუძველს.</p> <p><b>პასუხისმგებლობის უარყოფა</b></p> <p>ამ ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში მოცემული ინფორმაცია მოპოვებულია იმ წყაროებიდან, რომლებსაც ჩვენ ვენდობით. თუმცა ეს ინფორმაცია მოწოდებულია მისი სისწორის შესახებ რაიმე სახის გარანტიის გარეშე. პროდუქტის დამუშავების, შენახვის, გამოყენების ან უტილიზაციის პირობები ან მეთოდები არის ჩვენი კონტროლის/მეთვალყურეობის მიღმა და შესაძლოა იყოს ჩვენთვის უცნობი. ამ და სხვა მიზეზების გამო, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას და კატეგორიულად უარს ვაცხადებთ პროდუქტის დამუშავების, შენახვის, გამოყენების ან უტილიზაციის დროს ნებისმიერი ფორმით წარმოქმნილ დანაკარგზე, დაზიანებაზე ან ზარალზე. ეს <b>ნუმე</b> მომზადდა და გამოიყენება მხოლოდ აღნიშნული პროდუქტისათვის. თუ პროდუქტი გამოიყენება სხვა პროდუქტის კომპონენტად, ამ შემთხვევაში ამ <b>ნუმე-ში</b> არსებული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს შესაფერისი. შესაბამისად, EBO-ს ტესტირების ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას აქ არსებული ინფორმაციის გამოყენებით ან მასზე დაყრდნობით გამოწვეულ ზარალზე.</p> <p>მომზადებულია EBO-ს ტესტირების ცენტრის მიერ</p>	